ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2649671

ნომერი: AR1410678

თარიღი : 05.06.2016

გაცემის თარიღი : 14.06.2016

გაცნობის თარიღი : 14.06.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი II , ი. პეტრიწის და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის, (ნაკვეთი N6/72) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი იოსებაშვილი პ/ნ 08001007181
- ქ. თბილისი, ალ. შავერზაშვილის 1/119, ბინა 29

ორგანიზაცია:
- შპს "რაუ დეველოპმენტ" კოდი: 404488602

ნომენკლატურა :
- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-

17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1410678 განცხადება, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

AR1350876 (21.10.2015წ) განცხადების საფუძველზე საკითხი ქ. თბილისში საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონში, იოანე პეტრიწისა და დიმიტრი თავდადებულის ქუჩებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.06.006.072), 2009 წლის 7 აგვისტოს N01/1071 ბრძანებით შეთანხმებული იყო განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ საკითხი განხილულ იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2015 წლის 29 ოქტომბრის #50 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე საკითხს მიეცა თანხმობა, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, კერძოდ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს ისევ განაშენიანების რეგულირების ფარგლებში (იხ. დანართი).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.